დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ მიერ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნანა შარაბიძე
წევრი:
მედეა ზურაბიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 412683813

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის №233317 ბრძანების (28.02.2024წ.) საფუძველზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა 14 მარტს განახორციელა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“ (მის: ქ. ქუთაისში, ოცხელის ქუჩა № 2 მდებარე შენობის მეხუთე და მეექვსე სართულები) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან. ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა მოინახულეს პრაქტიკის ობიექტი (სს ლიბერთი ბანკი) და გაესაუბრენ მის ხელმძღვანელობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საფინანსო სერვისები 2023 წლის მიღება	24	24	-	-

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
	☐ შეესაბამება **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი.ოცხელის №2
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	48 (კოოპერაციული)
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	24 (კოოპერაციული)
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ საჭიროებს A, B და C სასწავლო გარემოს. შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო ფართი - აუდიტორია (A), რომელიც აღჭურვილია 24 სამუშაო ადგილით (მაგიდა და სკამი) პროფესიული სტუდენტისთვის, 1 სამუშაო ადგილით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 დაფა, 1 პრინტერი და 1 მონიტორი პრეზენტაციებისთვის; ასევე აუდიტორია B სასწავლო გარემოსთვის, რომელშიც განთავსებულია 24 პერსონალური კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, სადაც ჩატვირთულია საბანკო პროგრამის “Alta” დემო ვერსია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აუდიტორიაში განთავსებულია შტამპები (ნომრიანი,სახელობითი,სალარო,საოპერაციო);ფულის სათვლელი მანქანა, ყალბი ფულის ამომცნობი დეტექციის ფუნქციით; საინკასაციო ჩანთის მულაჟი ერთი ცალი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები. დაწესებულების სასწავლო სივრცეები და მატერიალური რესურსი იძლევა კვოტით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის შესაძლებლობას. 48 პროფესიულ სტუდენტზე 2 ცვლის/2 ჯგუფის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას გათვლილი აქვს B გარემოს დატვირთვის სქემა, გაითვალისწინა რა წინა ვიზიტის დროს ექსპერტების რჩევა, 2 სასწავლო აუდიტორიას (B გარემო), მათი გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, დაამატა სრულად აღჭურვილი სივრცე (C გარემო), ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამისთვის.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ხელშეკრულება:

სს ნიკორა ტრეიდი, რომელთანაც განახლებული ხელშეკრულება დაიდო 21.02.2023 -ში სამი წლის ვადით, რომელიც ექვემდებარება ავტომატურ განახლებას მხარეების სურვილის შემთხვევაში. ნიკორა ტრეიდის ფილიალებში შესაძლებელია წლის განმავლობაში ქუთაისის ფილიალებში ერთდროულად 48 პროფესიული სტუდენტის მიღება.

სს ლიბერთი ბანკი, ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის 21 აპრილს სამი წლის ვადით, რომელიც ექვემდებარება ავტომატურ განახლებას 3 წლით მხარეების სურვილის შემთხვევაში. ლიბერთი ბანკის შემთხვევაში შესაძლებელია წლის განმავლობაში სტუდენტების მიღება არა მხოლოდ ქუთაისის ფილიალებში, არამედ სხვა მუნიციპალიტეტებში განთავსებულ ფილიალებში, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, სულ 48 პროფესიული სტუდენტი. სტაჟირების ხანგრძლივობა განსაზღვრულია ერთი კვირიდან სამ კვირამდე.

„ორი ნაბიჯი“ - რომელთანაც ხელშეკრულება დაიდო 07.07.2022 -ში ერთი წლის ვადით, რომელიც ექვემდებარება ავტომატურ განახლებას ისევ ერთი წლით მხარეების სურვილის შემთხვევაში. ფილიალებში შესაძლებელია წლის განმავლობაში თბილისის და ქუთაისის ფილიალებში ერთდროულად 32 პროფესიული სტუდენტის მიღება, სტაჟირების ხანგრძლივობა განსაზღვრულია ოთხი დღით, დღეში 6 საათს.

სასწავლებელმა ვიზიტის დროს წარმოადგინა კიდევ ერთი ხელშეკრულება შპს „ემისთან“ ს/კ 412715021 (11. 03.2024 წ.), რომელიც არ იყო წარმოდგენილი განაცხადის თანდართულ დოკუმენტად, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული ხელშეკრულება არ შეუსწავლია. მით უფრო, რომ სასწავლებელს საკმარისი პრაქტიკის ობიექტები აქვს ამ ობიექტის გარეშეც.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია სტანდარტთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით თავი 14 მუხლი 69; პროგრამის ყველა განმახორციელებელის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტი მარეგულირებელი დებულების მიხედვითაა წარმოდგენილი.

სასწავლებელმა გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია პროფესიული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდის შესახებ, რათა მომავალში ეჭვქვეშ არ დამდგარიყო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულებამ დაამატა დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი 2 მასწავლებელი. შესაბამისად „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან:

ზოგადი მოდულებისთვის 7 განმახორციელებელი;

პროფესიული მოდულებისთვის - 4 განმახორციელებელი.

მიმდინარე ეტაპზე სწავლების პროცესში ჩართულია მხოლოდ სამი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელი, თითოეულის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. მომავალში 2 ცვლის შემთხვევაში უკვე ჩაერთვება კიდევ ერთი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი. ორი ცვლის შემთხვევაშიც თითოეულის კვირის დატვირთვა არ გადააჭარბებს 40 საათს.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია სტანდარტთან

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

კერძოდ: პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. ვიზიტის ფარგლებში მოხდა გასაუბრება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებთან, რომელთაგან ერთ-ერთი, ამავე დროს, პროგრამის ხელმძღვანელია. ისინი სისტემატიურად ესწრებიან ტრენინგ-კურსებს, რომლებიც უკავშირდება დარგში სიახლეების გაცნობას. რაც შეეხება ახალ მიღებულ მასწავლებლებს, რომელთაც არ ჰქონდათ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ მასწავლებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოლეგების მსგავსი მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება, ჩაუტარდათ სწავლებისა და შეფასების მიმართულებით ტრენინგები, რომლის ამსახველი სამსახურებრივი დოკუმენტაცია გადამოწმდა ვიზიტის დროს.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია სტანდარტთან

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

დაწესებულების "საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" (თავი XII; მუხლი 55), პროგრამის ხელმძღვანელს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებასთან ერთად ნიშნავს დირექტორი. აქვეა გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გარდა აღნიშნულისა პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები დეტალურადაა მოცემული პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაშიც. პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, მიღებული აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება და აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმის, ხელშეკრულებისა და მასთან გასაუბრების შესაბამისად დადგინდა, რომ მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულებების მოთხოვნებს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გაცნობიერებული აქვს და იცის მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია სტანდარტთან

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

კერძოდ: კოლეჯში ცალკე არის გამოყოფილი ბიბლიოთეკის სივრცე (სამკითხველოთი) სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/ დასკანერება. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი.

კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკარი აწარმოებს ჩანაწერებს სტუდენტებისა და მასწავლებლების მიმართვიანობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოლეჯი ატარებს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები(თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბიბლიოთეკო რესურსის გადამოწმებისა და ინტერვიუირებით (ბიბლიოთეკარი, პროფესიული სტუდენტები, განმახორციელებლები) დადასტურებულია, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია სტანდარტთან

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სასწავლებელს მიმდინარე ეტაპზე არ ჰყავს სსსმ პირი, თუმცა მას რეგულაციით განსაზღვრული აქვს, რომ მოახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტების სასწავლო პროცესში ინტეგრირებას. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის ჩართვას. შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებზე დაწესებულების რეგულაციით გათვალისწინებულია ადაპტირებული შეფასების ფორმატის: ზეპირი, წერითი, ტესტური, ელექტრონული გამოკითხვა-შეთავაზება. რეგულაცია გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული კოლეჯის სივრცისა და სერვისების შეთავაზებას და ა.შ. დირექტორის გადაწყვეტილებით, შშმპ-ის საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია სასწავლო პროცესში სპეციალური უნარების მქონე პირების ჩართულობა.

საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დაწესებულებას სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე სასწავლებელი უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია სტანდარტთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ:

პროფესიული პროგრამა „საფინანსო სერვისები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით მიიღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა საპროგნოზო ბიუჯეტი პროგრამისთვის „საფინანსო სერვისები“, რომლის მიხედვითაც რენტაბელობის ზღვარია 18 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტი შედგება შეოსავლების და ხარჯვითი ნაწილისგან. შემოსავლის მთავარი წყაროა პროფესიული სტუდენტის ვაუჩერი, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროფესიული მასწავლებლის, ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის შესყიდვის, კომუნალურ და სხვა ხარჯებს.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები”;
- პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთებით;
- პროგრამის სასწავლო გეგმით, მეცადინეობების განრიგით, აუდიტორიების გამტარუნარიანობის დოკუმენტით;
- მატერიალური რესურსის დათვალიერებით;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და განმახორციელებლების პირადი საქმეებით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების ფუნქცია-მოვალეობები და მათი საათობრივი დატვირთვით;
- დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- პრაქტიკის ობიექტის დათვალიერებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ბიბლიოთეკის დათვალიერებით და ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

15.04.2024
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------